განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

17-18 სექტემბერი, 2019 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი:

29 ოქტომბერი, 2019 წ.

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ–თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფარმაციის ბაკალავრი 0903
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №124, 21.10.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა შაშიაშვილი-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტს ფარმაცევტების მომზადების ხანგრძლივი ისტორია და დიდი გამოცდილება აქვს. ფარმაციის მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წლის 21 ოქტომბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №124).

ფარმაცია სწრაფად და დინამიურად განვითარებადი დარგია. დღეს როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული ფარმაცევტული ბაზარი მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებითაა წარმოდგენილი. ფარმაცევტული დახმარებისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის მიღწევა შეუძლებელია კვალიფიციური ფარმაცევტული კადრების გარეშე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფარმაცევტული დაწესებულებების (ფარმაცევტული კომპანია, აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო და ა.შ.) რიცხვი ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, გაიზარდა მოთხოვნა ფარმაცევტულ კადრებზეც. ამიტომ 2014–2018 წლებში პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა გაიზარდა 135–დან 180 –მდე. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია სასწავლო კურსებისაგან, ევროპული კრედიტ–სატრანსფერო სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში განხორციელდა გასაუბრებათა სესიები, რომლის ფარგლებშიც ჩართულნი იყვნენ, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (მათ შორის მოწვეული), სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტის **ადმინისტრაციასთან** , **თვითშეფასების ჯგუფთან** , **პროგრამის ხელმძღვანელთან**, **აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან,** ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომელთაც დაადასტურეს, რომ ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება რა თსსუ–ის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სტრატეგიული განვითარების პოლიტიკას, ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი კომპეტენციის, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრების მომზადებას. პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, დასკვნების გაკეთებას და მათ გაზიარებას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამა ახდენს კვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეძლებენ ღირებულების ფორმირებისა და დამკვიდრებაში მონაწილეობას, საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, სწავლის საჭიროების დადგენას პროფესიული განვითარებისა და ახალი ცოდნის შეძენის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ვიზიტი განხორციელდა თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტებში (ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, მეოთხე სასწავლო კორპუსი), ბიბლიოთეკასა (ვაჟა-ფშაველას გამზ., 33, პირველი სასწავლო კორპუსი) და თსსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში (ვაშლიჯვარი).

უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოობა და ჯანმრთელობა. დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. თსსუ აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა კომპონენტით: საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და თვისობრივად უზრუნველყოფს პროგრამით, გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულება, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია თითოეულ აკრედიტაციის სტანდარტთან, რაც განსაზღვრულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან დაფუძვნებულია პროგრამის ღრმა ანალიზით, საკითხების შესწავლით და თვითშეფასების ანგარიშით, ასევე გამოკითხვების შედეგებით ვიზიტის განმავლობაში.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვით მიღებული მონაცემები ადასტურებს, რომ პროგრამა ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის რეალისტური და მიღწევადი, შესაბამისობაშია თსსუ-ს მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან, ასევე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამის დადასტურებაა დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათ მიერ სტუდენტებისათვის შეთავაზებული წახალისების ფორმები.

განსაზღვრულია პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი გამჭვირვალე სამართლიანი საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში. პროგრამაში მოცემულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სწავლების მეთოდები შეესაბამება სამედიცინო, ფარმაცევტული განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე. მიზნად ისახავს პედაგოგზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების განხორციელება უზრუნველყოფილია სტუდენტური აქტივობების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, კერძოდ უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები, სადაც მონაწილეობას იღებენ ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებიც.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიხედვით, თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესით.

სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და დასაქმებაზე იღებენ სათანადო კონსულტაციებს, რომელსაც უწევს ფაკულტეტის ადინისტრაცია, შესაბამისი დარგობრივი დეპატამენტები და პროგრამაში ჩრთული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. პროფესიული პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტები უშუალო კონტაქტში არიან დამსაქმებლებთან, რითაც უზრუნველყოფილია მათთვის სათანადო კონსულტაციები და მხარდაჭერა კარიერული განვითარებისთვის. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი უახლესი აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია, ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ

სპეციალობაში. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვაიფიკაცია, რაოდენობა, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და წარმატებით განხორციელებას. თავად პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, მუდმივი კონტაქტი აქვს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ზრუნავს როგორც სტუდენტთა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამებში ჩართვასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე, ასევე საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება რეგულარულად, როგორც ადმინისტრაციის, ისე სტუდენტების მხრიდან შემუშავებული კითხვარების ფორმით. შედეგები და რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე, შემდგომ ფაკულტეტის სხდომაზე ან/და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად კონკრეტულ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან. თსსუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ მიერ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რაც დასტურდება პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობებით. უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები. პროგრამა ხორციელდება, ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტების, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო - კვლევით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიასა და უნივერსიტეტის საბაზისო დეპარტამენტების ბაზაზე. პროფესიულ პრაქტიკას სტუდენტები გადიან გაფორმებული მემორანდუმების და შეთანხმების საფუძველზე, პროფილურ დაწესებულებებში, რომლებიც ფლობენ პროგრამის განსახორციელებლად სათანადო ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს. სასწავლო კვლევითი დანიშნულებით პროგრამა იყენებს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფართსა და აღჭურვილობას, რომელიც ასევე წარმოდგენილია უახლესი აპარატურით და ყველა პირობაა შექმნილი სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისათვის. პროგრამის ბუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწეულია და სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მისი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ხარჯი.

პროგრამაში ჩართული 170 პერსონალი (მათ შორის 82 აკადემიური), თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ხუს) სტრუქტურული და ფუნქციური რგოლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ იერარქიაში, რომელიც ხარისხის პოლიტიკის პრინციპებს ახორციელებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწარმოებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/-ების ხარისხის პოლიტიკის შეფასებისა და უზრუნველყოფისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნას და ინფორმაციის პირველად დამუშავებას. საუნივერსიტეტო სამსახური კი, ფლობს რა ხარისხის შიდა და გარე პროცედურების ინტეგრირების კომპეტენციას და რესურსს, აანალიზებს პირველად ინფორმაციას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, შეფასების რეალურ ინდიკატორებს და კრიტერიუმებს თსსუ-ში სწავლების და კვლევის რელევანტურობის უზრუნველყოფისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და ფარმაციის ფაკულტეტის პერსონალის მიერ გაზიარებულია დეკანატების და დეპარტამენტების მუშაობისადმი სტუდენტთა შეფასების კვლევის კითხვარები და პროცედურა, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. თსსუ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ყოველწლიურად წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების წლიური ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. ასევე, ყოველწლიურად, წარედგინება ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას. გარე შეფასებაში ასევე, მონაწილეობენ დარგის პროფესიონალები პარტნიორი ან სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით. პროგრამის განვითარებისა და მასში ცვლილებების განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გათვალისწინება. მიმდინარე პერიოდში ერთგვარი *Peer Review*-ს ფორმატით განხორციელდა ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი არის მუდმივი პროცესი, რომელიც წარმოადგენს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებისა და პროცედურების განუყოფელ ნაწილს. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის მონიტორინგის შედეგები განიხილება კურიკულუმის კომიტეტში, სასწავლო დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოზე. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების, განვითარების უზრუნველსაყოფად.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო დაახლოება თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნებთან.
  - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება.

- არჩევითი დისციპლინის დამატება პროგრამაში უცხოელი პროფესორის ჩართულობით;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება-სწავლების, სწავლის და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება;
- სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა;
- სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში;
- გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელის გაზრდა
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, როგორც სასწავლო, ისე კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის;
- სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა სრულად;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების დანერგვა ორ წელიწადში ერთხელ მაინც;
- მეცადინეობების კოლეგიალური მონიტორინგის (*peer review*-ს ტიპის) თვისობრივი კრიტერიუმების და პროცედურის შემუშავების და ამოქმედების აუცილებლობა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, განხორციელდა ახალი დისციპლინების შემოტანა სწავლებაში, როგორიცაა:

• ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაკოთერაპიული არჩევანი, შინაგანი სნეულებები, იმუნოლოგიის საფუძვლები, სამედიცინო ბიოლოგია, პარაზიტოლოგიის საფუძვლები. გაიზარდა და გაღრმავდა სწავლება კლინიკური ფარმაციის და ფარმაკოთერაპიის მიმართულებით.

• პაციენტებისა და ზოგადად მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო გეგმაში დამოუკიდებელი დისციპლინების სახით გამოიყო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია, ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი. იგეგმება ორი უცხოური ენის სწავლება – ერთი ძირითადი და მეორე არჩევითი დისციპლინის სახით (ერთ–ერთი ინგლისური), რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კარიერულ და სამეცნიერო წინსვლას, ინტერნაციონალიზიაციას და პრაქტიკულ საქმიანობას, მაგალითად: უცხოელების, მათ შორის – ტურისტების მომსახურების გაუმჯობესებას.

• სამეცნიერო კვლევებისადმი, პროფესული ზრდისა და განვითარებისადმი ინტერესის გაზრდისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, სასწავლო გეგმას დაემატა სამეცნიერო–კვლევის საფუძვლების, ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლების სწავლება, ასევე,

არჩევითი დისციპლინის სახით, პროგრამას დაემატა ფარმაცევტული ნანოტექნოლოგიები, რაც ახალი სიტყვაა მიზანმიმართული მიწოდების სამკურნალო საშუალებების შექმნის თვალსაზრისით, დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის პროცესში.

- სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მე–8 სემესტრი სრულად ეთმობა პრაქტიკული უნარების განვითარებას, ე.წ. რეპეტიტორიუმს (პროფილური დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტეგრირებული მოდული), რომელსაც სტუდენტები ეუფლებიან პროფილური დეპარტამენტების ლაბორატორიებში, სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, თსსუ–ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსი–ფარმა“, „პე–ეს–პე–აფთიაქი“ და ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმის“ ბაზაზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე, მათთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებით.
- პრაქტიკული უნარების დამატებით (ექსტრაკურიკულური) განვითარების მიზნით, ყველა სემესტრის სტუდენტს ფარმაცევტული კომპანიებისაგან შეთავაზება აქვს, გაიაროს ანაზღაურებადი პროფესიული პრაქტიკა აფთიაქებში, ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების დროს. მათ შეუძლიათ, ისარგებლონ სტუდენტური (4-6 საათიანი) დასაქმებით, პროფესიული პრაქტიკის გავლის შემდეგ, „ფარმაცევტის თანაშემწის'' პოზიციაზე, სასწავლო პროცესზე მორგებული განრიგით. ასეთი ხელშეწყობა დამსაქმებელი ფარმაცევტული კომპანიებისაგან განპირობებულია მათი კმაყოფილებით თსსუ–ის ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულების და სტუდენტების ცოდნითა და უნარებით, ამას ადასტურებს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათ კომპანიაზე არჩევანის გაკეთებისათვის დასაქმების დროს, სტუდენტებისათვის შეთავაზებული წახალისების ფორმები. მაგალითად, ფარმაცევტულმა კომპანიამ „გეფა'' 2016 წელს დააარსა „ფარმადეპო“-ს სახელობითი სტიპენდია ყველა კურსის წარჩინებული სტუდენტისათვის, რომელიც მიიღო GPA რეიტინგის მიხედვით, ოთხივე კურსის პირველმა ხუთეულმა სემესტრში 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული სტიპენდია დღემდე მიღებული აქვს 70 სტუდენტს. 17.02.2019 წლის მონაცემებით ამ კომპანიაში დასაქმებულია 90 სტუდენტი სასწავლო პროცესზე მორგებული განრიგით, ხოლო „პე-ეს-პე აფთიაქი“ მასთან დასაქმებულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარმატებულ სტუდენტებს, უფინანსებს სწავლის საფასურს მთლიანად ან ნაწილობრივ. მსგავსი ტიპის წახალისებას გეგმავს „ავერსი–ფარმაც“.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. მაგალითად, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები (კერძოდ, სააფთიაქო კომპანიების წარმომადგენლები) მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ფარმაცევტის მიერ მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ფლობას, ასევე ფარმაცევტული მარკეტინგისა და კლინიკური დისციპლინების უკეთ ცოდნას, აღნიშნული რეკომენდაციების განხილვის შემდეგ ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტმა, ფაკულტეტის და აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ:

- 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან კომუნიკაციური უნარ–ჩვევების სწავლება გათვალისწინებული იქნებოდა სასწავლო კურსების „ფარმაცევტული ზრუნვა-1 და 2“–ის ფარგლებში, ხოლო ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი, ისევე როგორც შინაგანი სნეულებები, დაემატებოდა ფარმაციის

ბაკალავრის სასწავლო გეგმას არჩევითი დისციპლინების სახით. რაც უკვე განხორციელდა, ხოლო 2019/20 სასწავლო წლიდან იგეგმება კომუნიკაციური უნარ–ჩვევების, ფარმაციის მენეჯმენტისა და მარკეტინგის სწავლება მე–3 და მე–7 სემესტრში შესაბამისად, ძირითადი დისციპლინების სახით.

- არჩევითი დისციპლინის სახით იგეგმება ფსიქოლოგიის საფუძვლების და დამატებით მეორე უცხო ენის შესწავლა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება რა თსსუ–ის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სტრატეგიული განვითარების პოლიტიკას, ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი კომპეტენციის, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრების მომზადებას. პროგრამის მიზნებია: ➢ სტუდენტს მისცეს ცოდნა: • ფარმაცევტული მეცნიერებების ბიოსამედიცინო და ქიმიური საფუძვლების შესახებ; • ფარმაცევტული საქმიანობის საბაზისო პრინციპების შესახებ; ➢ სტუდენტს გამოუმუშაოს: • ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებაში ჩართვის უნარი (კომპეტენციის ფარგლებში); • ფარმაცევტული ანალიზის ჩატარების და დასკვნის გაკეთების უნარი; • ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი. პროგრამის დასრულების შემდეგ მათ შეეძლებათ კომპეტენციის ფარგლებში: კვალიფიციური ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელება, მომხმარებლის უზრუნველყოფა ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებით, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება, ფარმაცევტული ანალიზის ჩატარება, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა, ასევე, შეეძლებათ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე – მაგისტრატურაში. ფარმაციის ბაკალავრი აღჭურვილი უნდა იყოს ცოდნით და უნარებით, რომ გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს ადამიანთა ჯანმრთელი ცხოვრებისათვის, ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ჩამოთვლილი საქმიანობის ყველა ფორმას, პროგრამით განსაზღვრული შედეგები და კომპეტენციები კი უზრუნველყოფენ ჩამოთვლილი საქმიანობის კვალიფიციურ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია ყველა იმ სასწავლო კურსისა და მოდულის სწავლება, რომლებიც განსაზღვრავენ ჩამოთვლილი საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის მიღებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი ღირებულებების გამომუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამა მოწოდებულია პაციენტისა და საზოგადოების ფარმაცევტული მომსახურეობის გაუმჯობესებისაკენ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იზიარებს თსსუ–ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების, თანამშრომლობის და კოოპერაციის განვითარებას გლობალური მასშტაბით.

ფარმაცევტული კადრები, თსსუ-ის ფარმაციის ბაკალავრის პროგრამის ფარგლებში, მზადდება მოქმედი კანონმდებლობისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად, სრულად თავსებადია თსსუ-ის მიერ დეკლარირებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა იზიარებს თსსუ–ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების, თანამშრომლობის და კოოპერაციის განვითარებას გლობალური მასშტაბით, სახელდობრ:

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტთან (კანადა), ლიეჟის (ბელგია) და ექსმარსელის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი).
- ერასმუს + პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები. საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, 2018 წელს სტუდენტებისათვის ლექციები წაიკითხეს პორტოს უნივერსიტეტის (პორტუგალია) პროფესორმა, ლულიუ ტატიეგანუს მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორმა და ტირგო–მურეშის მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის (რუმინეთი) მოწვეულმა პროფესორმა.
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, 2017 წელს თსსუ–ის სოციალური და კლინიკური ფარმაციის ასოცირებულმა პროფესორმა ლექციები წაიკითხა, ტალინის (ესტონეთი) ჯანდაცვის სკოლის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.
- მიმდინარე წლის 27 მაისიდან დაგეგმილია თსსუ–ის ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტის ასისტენტ–პროფესორის ლექციები ლუბლინის (პოლონეთი) სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ერასმუს + ფარგლებში.
- პოლონეთის ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოგნოზიის დეპარტამენტმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოგნოზიისა და ბოტანიკის დეპარტამენტმა განახორციელა ერთობლივი საერთაშორისო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტრენინგი გაიარა პროგრამის 10 თანამშრომელმა, 40–მა კურსდამთავრებულმა, რომელიც დაფინანსდა პოლონეთის განვითარების ფონდის მიერ.

ფარმაციის ფაკულტეტის ეგიდით, 2014 და 2015 წელს, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები „ფარმაცევტული მეცნიერებები 21-საუკუნეში“ (თბილისი), 2017 წელს კი „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“ (ბათუმი). კონფერენცია ჩატარდა

აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის, ‘’მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017’’ ფარგლებში. (მონაწილეობდა 10–ზე მეტი ქვეყნის 270 წარმომადგენელი).

პროგრამის წარმატებით დაძლევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, სათანადო კომპეტენციას და კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე (აფთიაქი, ფარმაცევტული საწარმო, ლაბორატორია და სხვ.), ასევე, მათ მზაობას შემდგომ ეტაპზე სწავლისათვის (მაგისტრატურა).

პროგრამა ითვალისწინებს დამსაქმებლების, ფარმაციის დარგისა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს და სრულად არის გაზიარებული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირების მიერ.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია თსსუ-ის ვებ–გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
- თსსუ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები - http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0
- თსსუ-ს 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა - http://new.tsmu.edu/content/2/49/0/0/0/0
- თსსუ-ს ფარმაციის ფაკულტეტის დებულება – http://new.tsmu.edu/images/file/1524054922-debulebebi
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის №24/7დადგენილებით
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ვებ-გვერდი www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება დასტურდება დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით და მათ მიერ სტუდენტებისათვის შეთავაზებული წახალისების ფორმებით.

ფარმაციის ბაკალავრი შეძლებს მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში: ფარმაცევტულ კომპანიებში, აფთიაქებში, ფარმაცევტულ საწარმოში, წამლის ხარისხის კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ლაბორატორიებში, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, წამლის სააგენტოში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში. აქედან გამომდინარე, ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა ისეა სტრუქტურირებული რომ კურსდამთავრებულმა/ ფარმაციის ბაკალავრმა მიიღოს/აითვისოს პროგრამის მიზნებში დეკლარირებული ცოდნა და უნარები (წამლის დამზადება/წარმოებიდან – პაციენტამდე). პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსით, სწავლების მეთოდოლოგიით და შედეგებით. სხვადასხვა სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებზე სხვადასხვა ხარისხით „გადის“, რაც კურიკულუმის რუკაზე გამოსახულია გრადაციით „1 = გაცნობა; 2 = გაღრმავება; 3= განმტკიცება“.

სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია ძირითადი განმსაზღვრელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კურიკულუმის რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერით დადგენილ დარგობრივ მახასიათებლებს.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

სწავლის შედეგები შეესაბამება ფარმაციის დარგის სპეციფიკას, პასუხობს დარგის გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს დამსაქმებელთა (საქართველოს მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები და საწარმოები, რომლებიც, სადღეისოდ, იკავებენ ფარმაცევტული ბაზრის განმსაზღვრელ სეგმენტს) გამოკითხვის შედეგები.

ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან ბოლო 5 წლის მანძილზე, ფარმაცევტულ კომპანიებში დასაქმდა 560 ფარმაციის ბაკალავრი. მათი აზრით, დიდია მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციურ ფარმაცევტებზე, შესაბამისად, სასურველია, უნივერსიტეტი ამზადებდეს უფრო მეტ ფარმაციის ბაკალავრს. მაგალითად, ფარმაცევტული კომპანია „გეფა“ -ს მონაცემებით ყოველწლიურად სჭირდება საშუალოდ 80–100 ფარმაციის ბაკალავრი. „პე–ეს–პე–ფარმა“ შეძლებს ყოველწლიურად დაასაქმოს 300 კურსდამთავრებული, „ავერსი–ფარმა“–ს ყოველწლიურად შეუძლია 150–200 ფარმაცევტის დასაქმება.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც არის თანმიმდევრული და გამჭვირვალე. მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის მიხედვით განახორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდებზე ქიმიით ჩარიცხულთა რაოდენობა 2011 წლიდან 2017 წლამდე 2–ჯერ გაიზარდა, რამაც უარყოფითი შეფასებები ზოგად და არაორგანულ ქიმიაში 30%-დან 16%-მდე შეამცირა.
2. 2014/15 სასწავლო წლიდან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა ჯერ 30%+1, ხოლო 2016/17 - დან 35%+1-მდე, რამაც მაღალი შეფასებების მაჩვენებელი 71-დან 100 ქულამდე გაზარდა, ეს განსაკუთრებით პირველი კურსის დისციპლინების შეფასებებშია შესამჩნევი.
3. 2011-2012 სასწავლ წელს რამდენიმე დისციპლინა პათოლოგია, ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგიური ქიმია ისწავლებოდა ერთი სემესტრი, სტუდენტების და დეპარტამენტების თხოვნით ეს დისციპლინები გაიყო და 2012/13 სასწავლო წლიდან ისწავლება ორი სემესტრი.
4. სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის 2014/15 სასწავლო წელს გაიყო „მათემატიკა საინფორფაციო ტექნოლოგიებით“ და ისწავლება ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სახით.“ რის შედეგადაც A, B და C შეფასებების წილი 26%-დან 42% -მდე გაიზარდა, ხოლო D და E შეფასებები შემცირდა 69%-დან 52,6%-მდე. 2018/19 ს.წ.

„საინფორმაციო ტექნოლოგიებს“ დაემატა „ბიოსტატისტიკის“ ელემენტების სწავლებაც.

5. 2015/16 სასწავლო წელს სასწავლო გეგმას დაემატა “იმუნოლოგიის საფუძვლები“, 2016/17 სასწავლო წელს – „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“, 2017/18 –ში – „სამედიცინო ბიოლოგია და პარაზიტოლოგიის საფუძვლები“.

2011-2017 წლების კურსდამთავრებულთა ნაწილმა თავის სურვილებსა და რეკომენდაციებში ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური სახელმძღვანელოების სიმცირე და სასწავლო პროგრამის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება დაასახელა. ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები გატარდა:

ამჟამად ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტები განთავსებულია, ახალ სასწავლო კორპუსში, თანამედროვე, კარგად აღჭურვილი ლაბორატორიებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლება, შეიცვალა სასწავლო გარემო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების დროს თითოეული სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურ სამუშაოს. სასწავლო ლიტერატურის მხრივ არის წინსვლა: 2012–2018 წლებში ქართულ ენაზე მომზადდა 17 ახალი სახელმძღვანელო, მათგან უკვე გამოიცა 15, ორი გამოცემის სტადიაშია, რომელთაგან ერთი ნებადართული თარგმანია. ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო გეგმას დაემატა ახალი სასწავლო დისციპლინა ფარმაცევტული ზრუნვა 1 და 2, მომზადდა ამ დისციპლინებისათვის ქართულ ენაზე ორი სახელმძღვანელო ერთი ორიგინალი და მეორე ნებადართული თარგმანი, რომელიც არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებული და რეკომენდებული, ფარმაცევტული პრაქტიკის განვითარების მიმართულებით. დამსაქმებლების რეკომენდაციით და მონაწილეობით, შემოთავაზებული თემატიკის გათვალისწინებით მომზადდა სილაბუსები კომუნიკაციური უნარ-ჩვევებში, ფარმაციის მენეჯმენტსა და მარკეტინგში, 2.5–ჯერ გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა: 2018 წელს ელექტიური დისციპლინების ჩამონათვალს დაემატა კიდევ 5 – ფარმაცევტული ბიოტექნოლოგია, ფარმაკოეკონომიკა, კომუნიკაციური უნარ–ჩვევები, ბიოლოგიური აქტიურობის ქიმიური საფუძვლები, ფარმაცევტული ნანოტექნოლოგიები.

ვინაიდან, კურსდამთავრებულები უფრო მეტად აქცენტს აკეთებდნენ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, სასწავლო დისციპლინების უმეტესობის სილაბუსების შეფასების ნაწილში, შევიდა პრაქტიკული უნარ–ჩვევების შეფასების კომპონენტი.

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის N24/4 დადგენილებით დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც წარმოადგენს შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობას. რითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება.

შეფასება პირდაპირი მეთოდით – სტუდენტის აკადემიური მონაცემების ანალიზით მოწმდება მის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, საგამოცდო უწყისების მიხედვით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება ყოველი სემესტრის სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ. შედეგების განხილვა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, კურიკულუმის კომიტეტის მიერ იგეგმება და ხორციელდებოდა მთელი რიგი ცვლილებები.

პროგრამა ვითარდება მათი აუცილებლობის, მიზანშეწონილობის, მემკვიდრეობითობის, ეფექტურობის გაზრდაზე ორიენტირებული აკადემიური

აქტივობების და შედეგად – საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიღწევის გაუმჯობესების მიმართულებით.

შეფასება არაპირდაპირი მეთოდით, სტუდენტის თვითშეფასების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზით ფასდება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი. სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების სწავლების შესახებ დაიწყო 2017 წელს, ჩატარდა თითქმის ყველა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შედეგები გახილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს მიერ, ძირითადი შენიშვნები იყო სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ზოგიერთი სასწავლო კურსის ლექციების პრერეკვიზიტულ და მომიჯნავე დისციპლინებთან განხილვის კუთხით ინფორმაციის მიწოდების ნაკლებობაზე. დაისახა მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით ღონისძიებები.

კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითვის შედეგების ანალიზის მათი შეფასების და სწავლის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით ნათლად იკვეთება უკუკავშირი, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს ანალიზი და შეფასებები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და მისი განხორციელების ყველა ეტაპზე მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის საბაზისო და პროფილური დეპარტამენტები, ფარმაციის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციის სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ აკადემიური პროცესის ორგანიზებას და ფინანსურ მდგრადობას, თსსუ-ის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მთლიანად ჩართულია და ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. სტუდენტთა შეფასების მექანიზმების/ფორმების შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა.
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების და კურიკულუმის რუკა.
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი.
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში.
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგების განხილვის დამადასტურებელი მასალები (ოქმები და სხვა).
- ვებ გვერდი; www.tsmu.edu

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება და პროგრამის სწავლის შედეგების კიდევ უფრო დაახლოვება თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნებთან. • პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	X			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; კერძოდ მოქმედი საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით. თსსუ ფარმაციის ფაკულტეტი მეოთხე არჩევითი დისციპლინის სახით, აბიტურიენტებს სთავაზობს ოთხი დისციპლინიდან: ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა ერთერთის არჩევას, რომლის კოეფიციენტი 5-ია, პრიორიტეტულობაც ასეთი თანმიმდევრობითაა გათვალისწინებული. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 2014/15 წ. 30%+1-დან, 2016/17 წ. გახდა 35%+1, რამაც განაპირობა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. მიღებასთან დაკავშირებიული ინფორმაცია თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsmu.edu, ინფორმაციის გავრცელება ხდება საინფორმაციო სააგენტოების ელექტრონულ პორტალებზე (ინტერპრესნიუსი, ნიუპოსტი.), განათლების საერთაშორისო გამოფენაზე, ასევე facebook გვერდზე, საინფორმაციო ბროშურების, sms-ების სახით. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა: პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- ვებგვერდი; www.tsmu.edu
- თსსუ facebook-ის გვერდი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

მეოთხე არჩევითი დისციპლინის სახით აბიტურიენტებისთვის შეთავაზებული ოთხი დისციპლინიდან: ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა ერთერთის არჩევა. მისი კოეფიციენტი 5-ია, პრიორიტეტულობაც ასეთი თანმიმდევრობითაა გათვალისწინებული. ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 2014/15 წლიდან იყო 30%+1, ხოლო 2016/17 წლიდან 35%+1, აღნიშნულმა ცვლილებამ განაპირობა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება. მაგალითად პირველი კურსის დისციპლინების შეფასებები A,B,C და D 49%-დან 61%-მდე გაზარდა, E შეფასება –შემცირდა 37%-დან 30%-მდე, ხოლო F შემცირდა 13% - 9%-მდე. მეორე კურსის დისციპლინებში A,B,C შეფასებები 35%-დან 40%-მდე გაიზარდა, შეინიშნება D, E და F- ის შემცირება 2-2%-ით.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის დონის შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები პროგრამაში აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენენ ცოდნის, უნარ-ჩვევების და ღირებულებების ერთობლიობას.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომელიც არის ადეკვატური და მოცემულია სილაბუსებში.

პროგრამაში მოცემულია სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამაში გათვალისწინებულია 240 ECTS კრედიტის შესრულება, რომელიც მოიცავს, როგორც ძირითად: საბაზისო ზუსტ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და პროფილურ სასწავლო კურსებს, ასევე პროფესიულ პრაქტიკას – 30 კრედიტი და ელექტიურ სასწავლო კურსებს 14 კრედიტის მოცულობით. სასწავლო კურსები დალაგებულია ვერტიკალური და ცალკეულ შემთხვევაში ჰორიზონტალური ინტეგრაციის პრინციპით, დაცულია პრერეკვიზიტი და მემკვიდრე დისციპლინების სწავლების თანმიმდევრობა.

პროგრამიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი საქმიანობის: სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო–პროფილაქტიკური საშუალებების დამზადების, სერიული წარმოების, ფარმაცევტული ანალიზის განხორციელების, კეთილხარისხოვნების დადგენის, რაციონალური ფარმაკოთერაპიისა და ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელების მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სხვადასხვა სასწავლო კომპონენტის ერთობლიობას, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს, პროგრამით მიღებული კომპეტენციები აუცილებელი პირობაა შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წელს, მისი ფუნქციობის მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაზე ზრუნვა, რასაც საფუძვლად უდევს კურსდამთავრებულეთა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე, განვითარებაზე და პროგრამის ყველა კომპონენტის ეფექტური მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი და კურიკულუმის კომიტეტი მუდმივად მსჯელობს პროგრამისა და კურიკულუმის განვითარებაზე, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი სასწავლო კურსების დანერგვაზე დარგის თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. მათმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა ახალმა გამოწვევებმა ფარმაციაში განაპირობა ცვლილებები პროგრამაში, ახალი დისციპლინების შემოტანა სწავლებაში, როგორიცაა:

- ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაკოთერაპიული არჩევანი, შინაგანი სნეულებები, იმუნოლოგიის საფუძვლები, სასწავლო გეგმაში დამოუკიდებელი დისციპლინების სახით გამოიყო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია, ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი.
- იგეგმება ორი უცხოური ენის სწავლება ერთი ძირითადი და მეორე არჩევითი სასწავლო კურსის სახით. აღნიშნული ცვლილებები და ელექტიური სასწავლო კურსის შერჩევა განხორციელდა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- განხორციელდა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები. მაგ. რამდენიმე სასწავლო კურსი: პათოლოგია, ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგიური ქიმია ისწავლებოდა ერთი სემესტრი, მათი სირთულიდან გამომდინარე სტუდენტების და დეპარტამენტების თხოვნით გაიყო ორ სასწავლო კურსად და ისწავლება ორი სემესტრი, რამაც გაუმჯობესა ამ დისციპლინების სწავლების ხარისხი.
- ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სახით ისწავლება მათემათიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაემატა ბიოსტატისტიკის ელემენტებიც.
- პირველი კურსის სტუდენტების შეფასებებში ჭარბობდა დაბალი და უარყოფითი შეფასებები, განსაკუთრებით ორგანულ ქიმია 1–სა და ფიზიოლოგია 1, რაც

დიდწილად სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების არადამაკმაყოფილებელი სწავლებით და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან სტუდენტთა შეგუების სირთულით იყო განპირობებული. ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსების კვალიფიციური გააზრება და მაღალ დონეზე შესწავლა მნიშვნელოვანია მემკვიდრე დისციპლინების სწავლებასა და ფარმაციის ბაკალავრის მომავალი საქმიანობისათვის, ასევე შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა კურიკულუმის კომიტეტმა, გაითვალისწინა სტუდენტებისა და დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მოსაზრებები და დაიგეგმა აღნიშნული დისციპლინების სწავლება დაიწყოს მეორე კურსიდან.

- ასევე სტუდენტების თხოვნით დეპარტამენტებთან შეთანხმებით, შემცირდა სალექციო საათები ანალიზურ, ფიზკოლოიდურ, ზოგად და არაორგანულ ქიმიაში და ფარმაცევტულ ბოტანიკაში, გაიზარდა იმუნოლოგიის საფუძვლების, უცხოური ენის კრედიტები, არჩევითი დისციპლინების რაოდენობა.
- სამეცნიერო კვლევებისადმი, პროფესული ზრდისა და განვითარებისადმი ინტერესის გაზრდისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, მიზნით სასწავლო გეგმას დაემატა სამეცნიერო კვლევის საფუძვლების და ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლების სწავლება. ეს სასწავლო კურსები მისცემს სტუდენტს საწყის ცოდნას კვლევაში - გააცნობს კვლევის თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს.
- პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის კიდევ გაზრდა, რაც სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო, თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს სტუდენტს.

პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის კიდევ გაზრდა, რაც სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო, თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს სტუდენტს. პროგრამის დაგეგმვა/შექმნა/ცვლილების განხორციელებაში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით კურიკულუმის კომიტეტში და პროფესიულ ასოციაციებთან ურთიერთობით, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების პროცესში.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულისათვის განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლისა და უკვე მიღებული კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვებგვერდი: www.tsmu.edu
- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა და მისი დანართი ,,კურიკულუმის რუკა“
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

- გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არჩევითი დისციპლინის დამატება პროგრამაში უცხოელი პროფესორის ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კომპონენტებით (მაგ., აქტივობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ქუიზი, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია, პროექტი, დასკვნითი გამოცდა) და სათანადო კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. სასწავლო კურსის სილაბუსი ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის.

- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს; ითვალისწინებს სიახლეებს და მიღწევებს ფარმაციაში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს ახალ სასწავლო და ასევე რელევანტურ სხვა წყაროებს. პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით ქართულ ენაზე, ასევე, დამატებითი ლიტერატურით, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე. სილაბუსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის სასწავლო კურსები ხორციელდება დარგის მეცნიერების მიერ გამოცემული უახლესი ინფორმაციის შემცველი სახელმძღვანელოებით. ბიბლიოთეკას აქვს ბოლო 5-10 წლებში კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოები და ელექტრონული სალექციო კურსები ე.წ ,,ჰენდაუთები“. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ისიც, რომ თსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკუმზე თითოეულ სტუდენტს ან სტუდენტთა პატარა ჯგუფს ეძლევა საანალიზო ობიექტი და მეთოდური მითითება, ან რომელიმე პრეპარატის მოსამზადებლად რეცეპტი, იგი აკეთებს ჩანაწერს და დასკვნას

შესრულებული სამუშაოს მიხედვით. მსგავსი საქმიანობა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, პროფესიული პრაქტიკა (30 კრედიტი) პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. მისი მიზანია, საუნივერსიტეტო განათლების თეორიული ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე, ხელი შეუწყოს სტუდენტებს განივითარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები. პრაქტიკა წარმოადგენს პროფილური დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტეგრირებულ მოდულს – ფარმაცევტულ ანალიზში, ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში, ფარმაცევტულ ზრუნვასა და ფარმაკოთერაპიულ არჩევანში. ხორციელდება თსსუ–ის ფარმაციის ფაკულტეტის პროფილურ დეპარტამენტების, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ლაბორატორიის, თსსუ–ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსი–ფარმა“, „პე–ეს–პე–აფთიაქი“, ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმი“–ის ბაზაზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე.

პროგრამის ბოლო სემესტრში ხორციელდება პროფესიულ პრაქტიკა, რომელიც წარმოადგენს პროფილური დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტეგრირებულ მოდულს – ფარმაცევტულ ანალიზში, ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში, ფარმაცევტულ ზრუნვასა და ფარმაკოთერაპიულ არჩევანში, მას ეთმობა 30 კრედიტი, მისი გავლა სტუდენტს შეუძლია თუ ყველა დისციპლინა ჩაბარებული აქვს. ხორციელდება თსსუ–ის ფარმაციის ფაკულტეტის პროფილურ დეპარტამენტების, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ლაბორატორიის, თსსუ–ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსი–ფარმა“, „პე–ეს–პე–აფთიაქი“, ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმი“–ს ბაზაზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე.

პროფესიული პრაქტიკის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს კომპეტენციის ფარგლებში:

- სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადებასა და სერიულ წარმოებაში მონაწილეობას;
- ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებას და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაციას;
- სამკურნალო ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, მზა წამალთფორმების შენახვის პირობების უზრუნველყოფას და დაცვას;
- სახელმწიფო სტანდარტების და ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებას;
- სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობის განსაზღვრასა და ვარგისობის დადგენას;
- ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლს და სტანდარტიზაციას;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარებას;
- რაციონალური ფარმაკოთერაპიის განხორციელებას კომპეტენციის ფარგლებში;
- ჩამოუყალიბდება კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, ინფორმაციის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი; მომხმარებელთა უფლებების ხელშეწყობისა და უსაფრთხოების დაცვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი;

უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სრულყოფისადმი სწრაფვის უნარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. - სტუდენტური კონფერენციები. - ფარმაცევტულ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები. - ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სტუდენტური კონფერენციების რაოდენობის გაზრდა; - სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები შეესაბამება სამედიცინო, ფარმაცევტული განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე. მიზნად ისახავს პედაგოგზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის, ცალკეული კომპონენტის განსახორციელებლად სწავლა/სწავლების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. ამის გათვალისწინებით კი შეირჩეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები ლაბორატორიული მეცადინეობების დროს. თსსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტის სწავლებას ინდივიდური განრიგით, სასწავლო პროგრამის განხორციელების პერიოდში უწევს მათ დახმარებას კონსულტაციების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების მიღწევების შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული კურიკულუმითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგი. სასწავლო პროცესის შეფასება არის სასწავლო მიზნების მიღწევის ხარისხის დამდგენი მონაცემების შეგროვების, აღრიცხვისა და ანალიზის მუდმივი პროცესი, სტუდენტთა წარმატებისა და პროგრესის თანამიმდევრული შესწავლა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების მიხედვით. პროგრამაზე სტუდენტის სწავლის შედეგები/მიღწევების შეფასება რეგულირდება თსსუ– ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით, თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესით. შეფასების სისტემა უზრუნველყოფილია კრიტერიუმების საჯაროობით, ცოდნისა და უნარების შეფასების სარწმუნო მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე და ეფუძნება საერთო აკადემიური მოსწრების საშუალო მონაცემს. სტუდენტის ცოდნის და მიღწევების შეფასების სისტემა არის ღია, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ითვალისწინებს დარგის და სასწავლო კურსის სპეციფიკას, თავისებურებებს და მოიცავს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების შესაბამის ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს. **პროგრამა სრულად იზიარებს და ახორციელებს თსსუ-ში არსებულ შემდეგ მიდგომას:** შეფასების კომპონენტი განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/

თეორიული სამუშაო და სხვ.);

შეფასების მეთოდი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალებაა/ებია (ღია/დახურული ტესტი, საკითხი, რეფერატი, დემონსტრირება, ჯგუფური ან ინდივიდუალური პრეზენტაცია, დისკუსიაში მონაწილეობა, პრაქტიკული/ თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში, ქვიზის შესრულება და სხვ);

შეფასების კრიტერიუმი შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების კრიტერიუმი შეფასების ცალკეული მეთოდისთვის მინიჭებული მაქსიმალური და მინიმალური, დადებითი და უარყოფითი შეფასების ქულობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს.

სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

შეფასება 100-ქულიანია, სტუდენტის მიღწევების შეფასების კომპონენტების თანაფარდობა შუალედურ და დასკვნით შეფასებებს შორის – 60 + 40 (=100);

შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის/დისციპლინის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების (აქტივობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სემინარზე მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო, კოლოკვიუმი, ქუიზი, წერითი ნაშრომი, ზეპირი გამოკითხვა, რეფერატი, პრეზენტაცია) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.

მაგალითად, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლების სილაბუსში მკაფიოდ ასახულია შეფასების განაწილება ისევე, როგორც შეფასების კრიტერიუმები სწავლების მეთოდებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში:

კურსის სწავლება მიმდინარეობს ლექციების, სემინარების, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების, კოლოკვიუმების ჩატარების ფორმატით.

პრაქტიკულ-ლაბორატორიული 10 მეცადინეობა ფასდება ლაბორატორიული სამუშაოს სრულფასოვანი შესრულებით - 1 ქულით (1 x 10 = 10 ქულა ჯამში), თეორიული ცოდნა ფასდება 10 5-ტესტიანი ბილეთით (თითო ბილეთი 2 ქულა x 10 = 20 ქულა).

კოლოკვიუმების შეფასება კი შედგენა 3 10 ქულიანი კოლოკვიუმისაგან (3 x 10 = 30 ქულა ჯამში).

დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, დეპარტამენტში ან საგამოცდო პერიოდში. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

შუალედური შეფასების კრიტერიუმები დადგენილია სასწავლო დეპარტამენტის მიერ, ასახულია სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისთვის შესაბამისი სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. შუალედური შეფასების კრიტერიუმები ერთ სასწავლო კურსში ერთნაირია ყველა სტუდენტისათვის. შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შეცვლის შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ცოდნის შეფასების პოლიტიკა და

წესი ცნობილი იყოს სტუდენტებისათვის სასწავლო კურსის დაწყებისთანავე.

სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, დასკვნითი გამოცდები ძირითადად ტარდება საგამოცდო ცენტრში კომისიური წესით, ან დეპარტამენტში ზეპირი ან ტესტირების ფორმით, შეფასებაში ჩართულია დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. მაგ. 2018 წლის დეკემბერში თსსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოკითხა ფარმაციის ფაკულტეტის მე–3 და მე–4 კურსის სტუდენტები 6 პროფილურ სასწავლო კურსზე კითხვაზე: ცოდნის შეფასების კრიტერიუმები სასწავლო კურსის დაწყებისთანავე იყო ცნობილი, 5 დისციპლინის შემთხვევაში ცნობილი იყო გამოკითხვაში ჩართული ყველა სტუდენტისათვის, ხოლო კითხვაზე ჩემი სემესტრული შეფასება, ობიექტური იყო 4 დისციპლინის შემთხვევაში 100% დადებითი პასუხია, ორი დისციპლინის შემთხვევაში 20% არ ადასტურებს შეფასების ობიექტურობას. გამოკითხვის შედეგები განხილულია ფაკულტეტის საბჭოზე.

შედეგები ხელმისაწვდომია აკადემიური და მოწვეული მასწავლებლებისათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოყენებულია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხორციელდება სწავლების ყველა კომპონენტის აღრიცხვა: დასწრება, აქტიობა, პრეზენტაციები, შუალედური ჩათვლები და ასე შემდეგ. თითოეულ ჯგუფს უგენერირდება ინდივიდუალური სწავლების გეგმა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პროცესები. ყველა პედაგოგს აქვს პერსონალური გვერდი, საიდანაც ახორციელებს ადმინისტრირებას მისი ჯგუფების სასწავლო პროცესების შესახებ. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2016-17 ს.წ. შეიცვალა საგამოცდო ცენტრში არსებული ტესტების ბაზა და საგამოცდო ბილეთების სახე. ბილეთები გახდა ინდივიდუალური და ელექტრონული. განახლებული და დაზუსტებული საგამოცდო კითხვები ცენტრს გადაეცემა თითოეული დეპარტამენტის მიერ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების რეგულაციები თსსუ–ში ითვალისწინებს საგამოცდო შეფასების გასაჩივრების წესს, რაც სტუდენტისათვის ცნობილია და განთავსებულია ვებგვერდზე. ცოდნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის პრინციპი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში ელექტრონული ჟურნალის შემოღებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის სისტემატურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ, საშუალებას აძლევს დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება ცოდნის ხარვეზის გამოსწორების მიზნით. საგამოცდო და საბოლოო შეფასება სტუდენტისთვის ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი.
- თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესი.
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა.
- მართვის ელექტრონული სისტემა.
- გამოკითხვის შედეგები.
- http://sms.tsmu.edu/sms/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	X			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს. სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს თსსუ-ის წესდებით, განსაზღვრულ შემთხვევებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტამდე. სტუდენტებს კონსულტაციას უწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო აკადემიურ ნაწილში პასუხისმგებელია შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტი და პროგრამაში ჩართული თითოეული პროფესორ-მასწავლებელი. სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და თითოეული აკადემიური პერსონალისათვის გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. ამ მიზნით დეპარტამენტებში შედგენილია პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების განრიგი, რაც განთავსებულია დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე. აკადემიური პერსონალი, ვალდებულია, სტუდენტთა სკონსულტაციოდ გამოყოს კვირაში, მინიმუმ, 2 საათი. ინდივიდუალური მუშაობის ფორმატი მოიცავს ერთის მხრივ სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის და მითითებების მიცემას, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტისთვის პრობლემური საკითხების ახსნას. დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყების პირველივე დღეს ხვდება პირველ სემესტრელებს. შეხვედრაზე დეკანი სტუდენტებს წარუდგენს პრეზენტაციას, რომლის დროსაც, გარდა სასწავლო პროგრამისა, ესაუბრება სტუდენტის უფლება-მოვალეობებზე, სტუდენტის სტატუსსა და მისი შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის მიზეზებსა და მექანიზმებზე, მობილობის, მათ შორის, საერთაშორისო მობილობისა და სტაჟირების შესაძლებლობებზე, სტუდენტის მიღწევების შეფასების წესსა და დატვირთვაზე. შეხვედრაზე სტუდენტები ეცნობიან დეკანატის თანამშრომლებს, ურიგდებათ გზამკვლევები და სამახსოვროები. სწავლის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში

თითოეულ ჯგუფს ხვდება დეკანატის თანამშრომელი (დეკანი/პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე, აცნობს სასწავლო გეგმას, ესაუბრება ადმინისტრაციულ საკითხებზე (ყველა სემესტრის დასაწყისში რეგისტრაციის გავლის აუცილებლობა), აკადემიურ მოსწრებაზე (შეფასების სისტემაზე, გამოცდებზე, განმეორებით სწავლებაზე), ფინანსურ ვალდებულებებზე, სამართლებრივ-იურიდიულ საკითხებზე (აკადემიური შვებულება, სტატუსის ცვლილება და ა.შ.), სტიპენდიების მიღების წესზე. მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან შეხვედრა ხდება ინდივიდუალურად, ან საჭიროების შემთხვევაში ჯგუფურად.

პროგრამის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციის დროულ მიწოდებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი გეგმავს და ახორციელებს პერიოდულ შეხვედრებს ყველა კურსის სტუდენტებთან, აწვდის მათ ინფორმაციას პროგრამის სიახლეებთან დაკავშირებით, სტუდენტი იღებს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

თსსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, კონკრეტულ შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავებისა და დამტკიცებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა მობილობისა, შიდა მობილობის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, სტაჟირების, დასაქმების თაობაზე სტუდენტებს სასარგებლო კონსულტაციას უწევს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური.

სტუდენტები არიან ინფორმირებულები სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ, თუმცა ენის ბარიერის გამო, ნაკლებია საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაში, ასევე გაცვლით პროგრამებში ჩართვის მაჩვენებელი.

პროფესიული პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტები არიან უშუალო კონტაქტში დამსაქმებლებთან, რითაც უზრუნველყოფილია მათი სათანადო კონსულტაცია დასაქმებასთან მიმართებაში, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს მხარდაჭერას მათი კარიერული განვითარებისთვის.

პროგრამა ახორციელებს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, რისი საუკეთესო მაგალითია ფარმაცევტულ კომპანიებთან, ფარმაცევტულ საწარმოებთან და ლაბორატორიებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც არიან კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებლები საქართველოში.

თსსუ მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით თანამშრომლობს სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან, სტუდენტური პროექტების და ინიციატივების ხელშეწყობისა და

კოორდინირების კუთხით; მაგ. (C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაში გაწეული აქტიური დახმარებისათვის, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა მადლობის სიგელით დააჯილდოვა ფარმაციის ფაკულტეტის 5 სტუდენტი, ხოლო C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის სიგელით 13 სტუდენტი).

თსსუ მხარს უჭერს აგრეთვე, პრიორიტეტულ სპორტულ, სახელოვნებო და შემეცნებით მიმართულებებით სტუდენტურ ინიციატივებს, ღონისძიებებს; ორგანიზებას უკეთებს სტუდენტებისათვის შემეცნებით ღონისძიებებს, ღია ლექციებს და საჯარო დისკუსიებს; უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ელექტრონული ფოსტით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და უნივერსიტეტისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ. ასეთ საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის:

- სტუდენტური თვითმმართველობა;
- ჯანდაცვის ახალგაზრდული ორგანიზაცია;
- ინტელექტ–კლუბი;
- სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.

თსსუ თავისი ბიუჯეტის ფარგლებში სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებს პროექტების განხორციელებაში ან/და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. თსსუ თანამშრომლობს პროექტების განმხილველ საბჭოებთან დადგენილი წესით.

სტუდენტთა უფლებები და მოვალეობები ასახულია თსსუ–ის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებში – წესდებასა და შინაგანაწესში, თსსუ–ის ეთიკის კოდექსში, თვითმმართველობის დებულებაში და სხვა. სტუდენტის ძირითადი უფლებები, ისევე როგორც მოვალეობები, მათ შორის – ფინანსურიც, გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის.

თსსუ–ის მართვაში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტუდენტებს უფლება აქვთ აირჩიონ და არჩეულ იქნენ უნივერსიტის მართვის ორგანოებში: ფაკულტეტის საბჭოებში - 25% შემადგენლობით, წარმომადგენლობით საბჭოში - არანაკლების 1/3. ვინაიდან აკადემიურ საბჭოს ირჩევს ფაკუტეტის საბჭოს წევრები მათ ირიბად შეუძლიათ ჰყავდეთ მათ მიერ მხარდაჭერილი აკადემიური საბჭოს წევრები.

თსსუ–ის ვებ–გვერდზე განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სტუდენტთა უფლება–მოვალეობებს არეგულირებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი – http://new.tsmu.edu/content/2/50/12/30/0/0.
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება. სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი.
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა

მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი. o სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის ფორმების გამოყენების, გაცემისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. o თსსუ-სა და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები. o სახელმწიფო პროგრამაში სტუდენტთა ჩართულობა. o ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. o თსსუ-ის ვებ გვერდი www.tsmu.edu
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ კონფერენციებში და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობაში ჩართვის მაჩვენებლის გაზრდა ▪ გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელის გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი, უახლესი, აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია, ასევე გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის და/ან პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ სპეციალობაში. რაც დასტურდება მათი შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით, მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული 1200–მდე სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობით, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული 771 სამეცნიერო ნაშრომით, 14 ორიგინალური სახელმძღვანელოს გამოცემით ქართულ ენაზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულიად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი

საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის შესრულებას.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 13 აფილირებული პროფესორი, 32 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 37 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, 88 მოწვეული მასწავლებელი, ასევე 68 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული მასწავლებელების კვალიფიკაცია და რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განხორციელებას: პერსონალის საერთო რაოდენობაა 170, მათგან 82 აკადემიური პერსონალია და 88 მოწვეული მასწავლებელი. მიმდინარე მონაცემით პროგრამაზე ირიცხება 421 სტუდენტი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული მასწავლებლების სტუდენტების რაოდენობასთან ასეთია 170/421 (0,4), აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასთან 82/421 (0,19), აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალთან 82/88 (0,93), მათი საათობრივი დატვირთვა იძლევა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წარმართვის, პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისა და სტუდენტების კონსულტირების განხორციელების საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განახლების მაღალი მაჩვენებელი, აკადემიურ თანამდებობაზე ახალგაზრდების არჩევა, (ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამას დაემატა 25 ახალი და გამოაკლდა 10, მათგან 8 პენსიაზე გავიდა, მათ შორის 4 ემერეტუსია. მოწვეული მასწავლებელიდან გათავისუფლდა 43, მათგან 6 არჩეულია აკადემიურ თანამდებობაზე, მოწვეულია 31 ახალი კვალიფიციური სპეციალისტი), განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობას და, შეძლებისდაგვარად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებას. ამის დასტურია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილება, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის, 425 კონფერენციის მუშაობაში სხვადასხვა ფორმით.

პროგრამის ხელმძღვანელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელსაც დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მოსკოვის ფარმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1987 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტში ჯერ ასისტენტად (1991 წლამდე) შემდეგ დოცენტად (2000 წლამდე) და 2000 წლიდან პროფესორად და დეპარტამენტის ხელმძღვანელად. აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესების მართვისა: 1994 წლიდან 2005 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანი. 2008-2015 წლებში მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. ასევე გააჩნია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელი, აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების

განვითარების პროცესში, მუდმივი კონტაქტი აქვს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, სისტემატურად ახდენს მათ ინფორმირებას მოთხოვნების, მარეგულირებელი წესების, სიახლეების, ვაკანსიების და ა. შ. შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ პრობლემების გადაჭრაში, მაქსიმალურად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმებას; ზრუნავს სტუდენტების ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში ჩართვაზე. აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და სისტემატურად ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მდივანი, დეპარტამენტების სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელები და ლაბორანტები). უნივერსიტეტში შექმნილია კანცლერის აპარატის მონიტორინგის ჯგუფები, რომლითაც კონტროლდება როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის სამუშაო განრიგის შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პერსონალის პირადი საქმეები. - თსსუ-ში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის რეგლამენტი. - თსსუ-ის დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი. - პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. - პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე. - პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები. - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტი. - თსსუ საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა. - საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი. - სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება-სწავლების, სწავლის და კვლევის ინტერნაციონალიზაცია; - საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახდენს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტები. უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მიზნით. სემესტრის/კურსის ბოლოს სტუდენტები ანონიმურად ავსებს კითხვარს, რომლის მონაცემების გაანალიზებას ახდენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. შედეგები და რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე, ან/და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად კონკრეტულ აკადემიურ ან

მოწვეულ პერსონალთან.

2019 წლიდან პერსონალის შეფასების პროცესს ელექტრონული ფორმით (Survey Monkey) ერთობლივად განახორციელებს თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. ასევე 2019/20 სასწავლო წლიდან ამოქმედდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი, მნიშვნელოვნად დაეხმარება პროგრამის შემდგომ განვითარებას. შეფასების შედეგის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს პერსონალის დაწინაურება და წახალისება.

პერსონალის განვითარებისადმი სტრატეგიული, პროფესიული მიდგომა ხელს უწყობს უნივერსიტეტს, მოიზიდოს და შეინარჩუნოს მისი მიზნების მისაღწევად საჭირო უნარებისა და კომპეტენციის მქონე კადრი. პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს პედაგოგთა გადამზადების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების ტრენინგები „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“, რომელიც გაიარა პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა სრულად და მოწვეული მასწავლებლების ნაწილმა (პროცესი გრძელდება). 2017 წლის დეკემბერში შესაბამისი უფლება–ვალდებულებების და კომპეტენციის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი „მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროგრამაში ჩართულმა 3 აკადემიურმა პერსონალმა.

თსსუ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, პუბლიკაციების გამოქვეყნებას იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში.რაც დასტურდება პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობებით, საერთაშორისო ღონისძიებებში: კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები აქტიური მონაწილეობით. ამავე დროს უნივერსიტეტი ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ამ ტიპის სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობის შესახებ, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ტრენინგებში, ინფორმაცია ასახულია მათ მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
- თსსუ პერსონალის შეფასების წესი – თსსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N 23/3 დადგენილება.
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018წლის 21 მარტის 24.7 დადგენილება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

– აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის

განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა, დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოობა და ჯანმრთელობა, დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

თსსუ აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა კომპონენტით: საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და თვისობრივად უზრუნველყოფს პროგრამით, გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართები; პროგრამა ხორციელდება, ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტების, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო - კვლევით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიასა და უნივერსიტეტის საბაზისო დეპარტამენტების ბაზაზე, საერთო ფართით 8325 კვ.მ. რომლებიც განთავსებულია თსსუ–ის პირველ, მესამე და მეოთხე სასწავლო კორპუსებში. აღნიშნული სტრუქტურები ერთეულები, ისევე, როგორც ფარმაციის ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტები, სრულადაა აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, საინფორმაციო–ტექნიკური საშუალებებით. სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსიდან, პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება: 125 პერსონალური კომპიტერი, 79 ლეპტოპი, 59 პროექტორი, 77 საბეჭდი და ასლგადამღები ტექნიკა, სასწავლო მიკროსკოპები – 181 (პროგრამის ერთ სტუდენტზე ტექნიკური აღჭურვილობის 1.24 ერთეული). თანამედროვე, უახლესი აპარატურითა და ხელსაწყოებით აღჭურვილია პროფილური დეპარტამენტების ლაბორატორიები, მათ შორის: მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი, ლაბორატორიული ლიოფილიზატორი, როტაციული ამაორთქლებელი, "ანდერსენის კასკადური იმპაქტორი", „ერვეკას" ხსნადობის, დაშლადობის, სიმტკიცის და ცვეთადობის ტესტერები, „ფრანსის დიფუზური უჯრედები". თანამედროვე სპექტროფოტომეტრები, ანალიზური სასწორები, ლაბორატორიული წყლის აბაზანები, ციფრული ვისკოზიმეტრი, ამწოვი და მაშრობი კარადები, იმუნიფერმენტული ანალიზატორი, ეთერზეთების მისაღები აპარატები, ცენტრიფუგა, მაგნიტური შემრევი, მუფელი, ქრომატოგრაფიული კამერები, უკუმცივარები, საცრების კომპლექტი, ერთპუანსონიანი მინი სატაბლეტე, ფოტოკოლორიმეტრები, პოლარიმეტრი, რეფრაქტომეტრი, წყლის გამოსახდელი აპარატი და ა.შ. ასევე ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები მაღალ დონეზე ჩატარებას.

პროფესიულ პრაქტიკას სტუდენტები გადიან გაფორმებული მემორანდუმების და შეთანხმების საფუძველზე, პროფილურ დაწესებულებებში, რომლებიც ფლობენ პროგრამის განსახორციელებლად სათანადო ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს. სასწავლო კვლევითი დანიშნულებით პროგრამა იყენებს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფართსა და აღჭურვილობას, რომელიც ასევე წარმოდგენილია უახლესი აპარატურით და ყველა პირობაა შექმნილი სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

დასკვნითი გამოცდებს სტუდენტები აბარებენ საგამოცდო ცენტრში, სადაც ერთდროულად 212 სტუდენტს ორიგინალური ელექტრონული საგამოცდო პროგრამის

საშუალებით, შეუძლია ტესტური გამოცდის ჩაბარება ონლაინ რეჟიმში. სასწავლო პროცესების მართვის სისტემა (LMS), უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, ფინანსური ვალდებულებების მონიტორინგს, საჭირო დოკუმენტაციის გენერაციას. სისტემა მოიცავს ინფორმაციას სტუდენტის მონაცემების შესახებ, სტატუსის ცვლილების, აკადემიური მოსწრების, ფინანსური ვალდებულებების შესახებ. ფუნქციები: სასწავლო ბარათის გენერაცია, დიპლომის დანართის გენერაცია, GPA რეიტინგების გენერაცია, სტატისტიკა, სწავლების გეგმა გრაფიკები.

სტუდენტებს აქვთ პერსონალური გვერდი, სადაც იღებენ ინფორმაციას თავიანთი აკადემიური მოსწრების თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სისტემის მონაცემთა ბაზები იმყოფება სამედიცინო უნივერსიტეტის შიდა სერვერებზე, რომელთა გამართულად და დაცულად მუშაობას და პროგრამულ უზრუნველყოფას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ორიენტირებულია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა, ყველა საფეხურის სტუდენტისა და რეზიდენტების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინფორმაციულ ხელშწყობასა და უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის – გარემო, რესურსები, სერვისები და მათი განვითარების ხედვა ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავებს (1 მთავარი და 2 დამხმარე), ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო ოთახებს, დამხმარე სათავსოებსა და სივრცეებს ბიბლიოთეკით მოსარგებლეთათვის. სტუდენტების, პედაგოგებისა და სხვა ბენეფიციართათვის ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენება შესაძლებელია თანამედროვედ აღჭურვილ სივრცეებში. საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე: 3 კომპიუტერული დარბაზი 50-ზე მეტი განახლებული კომპიუტერით, სამკითხველო დარბაზები: 2 დარბაზი – ორადგილიანი მაგიდებით _ 102 და 74 სტუდენტისთვის, ჯგუფური მუშაობის სივრცე: 2 დარბაზი 12-ადგილიანი მაგიდებით _ 48 და 36 სტუდენტისთვის. ბიბლიოთეკის პირველ სართულზე მდებარეობს უცხოური ლიტერატურის სამი სამკითხველო დარბაზი, რომლებშიც ერთდროულად 150-მდე სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი. ბიბლიოთეკას აქვს საკონფერენციო დარბაზი, რომელიც განკუთვნილია შეხვედრებისა და დისკუსიებისთვის და გათვლილია, 80 ადამიანზე.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მაღალი სიჩქარის ინტერნეტით. რეგულარულად მიმდინარეობს როგორც საუნივერსიტეტო ქსელში ჩართული კომპიუტერების, ასევე უსადენო Wi-Fi ინტერნეტის ხარისხის კონტროლი პირადი მოხმარების ლეპ-ტოპებისთვის, სხვადასხვა პლანშეტებისა და მობილური ტელეფონებისათვის.ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, 60 საათი.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია (უკანასკნელი აღწერით - 330 058 ეგზემპლარი). მუდმივად განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სრული წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აღრიცხულია და ინახება როგორც ჟურნალებსა და მატერიალურ კატალოგებში, ასევე ელექტრონულ კატალოგში, რომლის შევსებაც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო პლატფორმა Koha-ს გამოყენებით. ელექტრონული კატალოგი განთავსებულია

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: http://new.tsmu.edu/library/. მარტივი საძიებო სისტემა ადვილად ხელმისაწვდომს ხდის სასურველი ლიტერატურული წყაროს მოძიებას.

ახალი ლიტერატურის შეძენა ყოველწლიურად ხდება დეპარტამენტების წარმომადგენელთა, მეცნიერ-თანამშრომელთა და სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, 2018-2019 წლებში, ზემოაღნიშნული კონტიგენტის მოთხოვნით, თსსუ-ის მიერ შეძენილ იქნა 337734 ლარის ღირებულების ლიტერატურა. 2019 წლისთვის, დამატებით, გამოწერილია 34 დასახელების პერიოდული გამოცემის დარგობრივი ჟურნალი, რომლებიც არ იძებნება საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში ან იქ სტატიები დაგვიანებით ქვეყნდება სრული ტექსტით.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბეჭდური ან ელექტრონულ მატარებლების სახით. ვინაიდან რეგულარულად ხორციელდება სილაბუსების განახლება და შევსება ახალი ლიტერატურით, შესაბამისად, აღნიშნული ლიტერატურა განთავსდება და ხელმისაწვდომი ხდება ბიბლიოთეკაშიც. ორი წლის განმავლობაში ფარმაციის საბაკალავრო პროგრამისათვის შესყიდულია 104 დასახელების, 564 ცალი სასწავლო სახელმძღვანელო 78109 ლარის ღირებულებითნ.

თსსუ ბიბლიოთეკაში, ასევე ფარმაციის ფაკულტეტის პროფილურ დეპარტამენტებში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებელზე არსებული), სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც მათ აძლევთ საშუალებას გაეცნონ სიახლეებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თსსუ–ში ფუნქციობს „თეატრალური დარბაზი“ (420 ადამიანის ტევადობის), სპორტული დარბაზი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის (აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და საშხაპეებით), კალათბურთის დარბაზი, მინი ფეხბურთის ღია მოედანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- თსსუ–ის ბიბლიოთეკის დებულება, თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2012 წლის 25 ივლისის23/6 დადგენილება.
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საინვენტარო აღწერილობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამისათვის შეძენილი წიგნები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის ბაკალავრის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 1 118 275 ლარს. პროგრამის ძირითად რესურსს შეადგენს საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. უნივერსიტეტის შემოსავლების უდიდესი ხვედრითი წილი მოდის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ფარმაციის ფაკულტეტის ბიუჯეტში, შესაბამისად თსსუ-ის ნაერთ ბიუჯეტში.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამის ბიუჯეტში არ არის გაწერილი უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა,

ვინაიდან აღნიშნულის საჭიროება არ არსებობს, რადგან პროგრამის შემოსავლები სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ნაშთი პერიოდის ბოლოს შეადგენს 49255 ლარს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ის მიერ სრულიად შესაძლებელია პროგრამის მხარდაჭერა. თსსუ-ს 2019 წლის ბიუჯეტი 2012 წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ არის გაზრდილი და საკუთარი შემოსავლების ზრდის ხარჯზე, ხასიათდება ზრდის განუხრელი ტენდენციით. უნივერსიტეტის ბიუჯეტი დივერსიფიცირებულია და შედგება,როგორც საკუთარი შემოსავლებისგან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებისგან. საკუთარი შემოსავლების წყაროებია: სწავლის საფასურიდან შემოსავალი; სამეცნიერო კვლევითი გრანტებიდან შემოსავალი; კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავალი. სამეცნიერო საქმიანობა; სამედიცინო საქმიანობა; სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

2018 წელთან შედარებით თსსუ-ს 2019 წლის ბიუჯეტი იზრდება 30%-ით და შეადგენს 139 170 690 ლარს (მათ შორის 90 113 462 ლარი მიმდინარე პერიოდის შემოსავალი). ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა საკუთარი შემოსავლები 98,92%-ი, ხოლო 1,08% მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე.

2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლებში უდიდესი ხვედრითი წილი - 74,48% მოდის საგანმანათლებლო საქმიანობიდან შემოსავლებზე, სამედიცინო საქმიანობიდან შემოსავალი შეადგენს 23,25%-ს, სამეცნიერო საქმიანობიდან 1,83%-ს, სამეცნიერო გრანტებიდან 0.44%-ს.

- საგანმანათლებლო საქმიანობიდან/სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავლის 86,2% მოდის ფასიან სწავლებაზე, ხოლო 13,8%-ი სახელმწიფო სასწავლო გრანტიდან შემოსავლებზე.
- სამედიცინო საქმიანობიდან შემოსავლები ძირითადად უკავშირდება საუნივერსიტეტო ბაზებს. აღნიშნული ბაზები უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისათვის. უსდ-ის ბიუჯეტის უდიდესი ხვედრითი წილი მოდის საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე, რის ფარგლებშიც საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ –ის და ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის 2019 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი.
- პროგრამის 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ხუს) სტრუქტურული და ფუნქციური რგოლია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ იერარქიაში, რომელიც ხარისხის პოლიტიკის პრინციპებს ახორციელებს. ამასთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეუძლია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/-ების ხარისხის პოლიტიკის შეფასებისა და უზრუნველყოფისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნა და ინფორმაციის პირველადი დამუშავება. საუნივერსიტეტო სამსახური კი, ფლობს რა ხარისხის შიდა და გარე პროცედურების ინტეგრირების კომპეტენციას და რესურსს, აანალიზებს პირველად ინფორმაციას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, შეფასების რეალურ ინდიკატორებს და კრიტერიუმებს თსსუ-ში სწავლების და კვლევის რელევანტურობის უზრუნველყოფისთვის. თსსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი უმაღლესი განათლების დიპლომის შემდგომ ეტაპზე კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მის მიერ მიღებული ინტელექტურ-მეთოდოლოგიური რესურსის (ცოდნის) შრომის ბაზარზე რეალიზების შესაძლებლობა/პესპექტივაა, რაც კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი ეფექტური განხორციელების, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა ჯაჭვის განვითარებას განსაზღვრავს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურა. შეფასებულია ყველა ახალი, ან განახლებული საგანმანთლებლო პროგრამა დადგენილი კრიტერიუმებით, პროგრამის განხილვის მსვლელობის ეტაპობრიობა და ვადები დამოკიდებულია ამ შეფასების შედეგებზე. 2012 წლიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მომზადებული 17 ორიგინალური სახელმძღვანელოს ექსპერტიზა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია და ფარმაციის ფაკულტეტის პერსონალის მიერ გაზიარებულია დეკანატების და დეპარტამენტების მუშაობისადმი სტუდენტთა შეფასების კვლევის კითხვარები და პროცედურა, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. იგი ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის შედეგებს. ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივ ანალიზს, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობას, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას და სხვ.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრება მუდმივად არის შესაბამისი ფარმაციის

ფაკულტეტის დეკანატის და ხუს–ის ყურადღების საგანი. უნივერსიტეტის ვიცე–რექტორი, რომელიც კურირებს აკადემიურ პროცესს აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს სასესიო გამოცდების შედეგებს და მათ ანალიზს. სტუდენტთა მოსწრება განიხილება, უპირატესად, გაუსის მრუდთან მიმართებით, თუმცა მხედველობაში მიიღება ისიც, რომ სტუდენტთა მოსწრება ძალიან მრავალფაქტორული მაჩვენებლია და გაუსის ტიპის განაწილების (შემთხვევითი განაწილების) კრიტერიუმებით შეფასებას ყოველთვის 100%-ით ვერ დაექვემდებარება. ამიტომ, უფრო ეფექტური მექანიზმია სასწავლო დეპარტამენტში, კონკრეტულ სასწავლო კურსში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კომპლექსური ანალიზი, სახელდობრ: საბოლოო შეფასებების, ასევე, შუალედური (სემესტრული, ან კურაციული) და საგამოცდო შეფასებების კორელაცია, მსგავსი კვლევების შედეგების განხილვა და შეფასება უდევს საფუძვლად პროგრამის შედეგების შეფასებას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გაუმჯობესებაზე მუდმივ ზრუნვას.

ხუს–ის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით ბოლო კვლევები ჩატარდა 2018 წლის შემოდგომის სემესტრში. ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა, როგორც საბაზისო დისციპლინების სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე პროფილური დისციპლინების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული მასშტაბური კვლევა, რომელიც განხორციელდა ელექტრონულად *(Survey Monkey)* პროგრამის გამოყენებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები და შეფასებები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიურ საბჭოს, შინაარსის და საჭიროების მიხედვით განთავსდება ვებ-გვერდზე.

თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და დეპარტამენტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების საინფორმაციო და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს თსსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონული სისტემით ტარდება კურს-დამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითხ-ვების ელექტრონული სისტემა.

სასწავლო პროცესის შეფასება არ გულისხმობს პროცესის კონტროლს: მეცადინეობის ჩატარებისა და გაცდენის აღრიცხვა არ წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობას, თუმცა, აკადემიური გარემოს შეფასების ასპექტში სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელემენტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტაქტიკურ ამოცანებს ემთხვევა და ამდენად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს ამ სამუშაოშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებითი და ანალიზური სამუშაოს პერიოდულობა ასეთია:

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება - 3–5 წლის პერიოდულობით,
- სტუდენტთა შეფასება - სემესტრში ერთხელ მაინც,
- ბეჭდური სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის - საჭიროებისამებრ,
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების - სემესტრში ერთხელ მაინც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.
- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კრიტერიუმები/წესები/ფორმები სილაბუსის, სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის, პერსონალის, სტუდენტის აზრის შეფასებისათვის.
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი.
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს, ექსპერტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და სათანადო ცვლილებები შეაქვთ პროგრამაში, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით, დამტკიცებული დოკუმენტის "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი" მიხედვით. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელი/-ები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, კურიკულუმის კომიტეტი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ინფორმაცია ცვლილებების შესახებ, ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს; იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს.

გარე შეფასებაში ასევე, მონაწილეობენ დარგის პროფესიონალები პარტნიორი ან სხვა უმაღლესი დაწესებულებებიდან, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრე ბულები სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით.

თსსუ-ი გეგმავს საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობას საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასების მიზნით; უცხოელი გარე ექსპერტების, ანუ რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სპეციალისტების მონაწილეობით.

პროგრამის განვითარებისა და მასში ცვლილებების განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გათვალისწინება. მიმდინარე პერიოდში ერთგვარი *Peer Review*-ს ფორმატით განხორციელდა ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი. დამტკიცებული თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის #24/2 დადგენილებით. • პროგრამების გარე ხარისხის შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხრიდან განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების დანერგვა ორ წელიწადში ერთხელ მაინც;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარი სტუდენტების აზრის კვლევისთვის, დეპარტამენტების მუშაობასთან დაკავშირებით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ხორციელდება ყოველი სემესტრის, სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ.

შემუშავებული კითხვარით ჩატარდა სტუდენტთა აზრის კვლევა სასწავლო კურსების სწავლების შესახებ. შემუშავდა კითხვარი კურსდამთავრებულთა კვლებისათვის. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული პროგრამის *Survey Monkey-ის* საშუალებით. გამოკითხულთა 91% დასაქმებულია, მათგან 83,5% მიღებული განათლებით. სწავლა გააგრძელა მაგისტრატურაში 58%. მიღებული განათლებით სრულად კმაყოფილია 41%, ნაწილობრივ 53%. კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა თავის სურვილებსა და რჩევებში პრაქტიკული საქმიანობის, სასწავლო გარემოს, პროგრამების და ლიტერატურის გაუმჯობესება დაასახელა, ასევე გაცვლითი პროგრამების რაოდენობის გაზრდა.

გამოკითხულია საქართველოში არსებული ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანია და საწარმო, სადაც დასაქმებულია თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი. ბოლო 5 წლის განმავლობაში მათთან დასაქმდა 560 ფარმაციის ბაკალავრი. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დამსაქმებელთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილია თსსუ ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა თეორიული/საბაზისო ცოდნით (85.7%), ასევე პროფესიული/დარგობრივი ცოდნის ფლობის ხარისხით (71.4 %). თუმცა აქვთ გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები, მაგალითად: სასწავლო პროგრამაში სასურველია დაემატოს „ფარმაცევტული ზრუნვა“ და „ფარმაცევტული მარკეტინგი”, ასევე დისციპლინა, რომელიც დაეხმარებათ ფარმაცევტებს მომხმარებლთან ეფექტურ კომუნიკაციაში. მომვლის ფარმაცევტისათვის აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების უკეთ ფლობა, უცხოური ენების ცოდნის სრულყოფა.

ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე, გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები პროგრამაში, დაემატა ახალი ძირითადი და ელექტიური სასწავლო კურსები, გაუმჯობესდა და გაიზარდა პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობის წილი, მთლიანად შეიცვალა ინფრასტრუტურა, განახლდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ასევე განახლდა ან გამოიცა

14 ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

პროგრამის მონიტორინგის სპეციფიკური კრიტერიუმია სტუდენტთა პროგრესიისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების მაჩვენებელი. პროგრამის განსაზღვრულ ვადაში დასრულების მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიდაიმავე დროს ჩარიცხულ სტუდენტთა რამდენი პროცენტი ასრულებს პროგრამას განსაზღვრულ ვადაში.

აღნიშნული მაჩვენებლები განისაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით (კვოტით) და მისაღები კონტიგენტის ზევით (მობილობით, მოსამზადებელი ცენტრიდან და ა.შ) პირველ სემესტრში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წლიდან 2017 წლის ჩათვლით პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში დასრულების მაჩვენებელი 88%–დან 54%–მდე შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებულია შიდა მობილობის გაზრდით პირველი კურსის დასრულების შემდეგ. განვიხილოთ მაგალითი: 2014 წელს ჩარიცხული 141 სტუდენტიდან შიდა მობილობით გადავიდა 55, სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადავიდა 5. მათ ვინც გააგრძელა სწავლა მეორე კურსზე ფარმაციის პროგრამაზე, დაემატათ გარე მობილობით გადმოსულები, აღდგენილი ან სემესტრში დარჩენილი სტუდენტები და მთლიანობაში 2018 წელს დაამთავრა 94 სტუდენტმა, თუმცა იმ 141–დან დაამთავრა 56 (39,7%), რაც ძირითადად გამოწვეულია რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ფაქტორით:

- ხშირ შემთხვევაში აბიტურიენტი ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას ირჩევს თსსუ-ის სხვა საგანმანთლებლო პროგრამაზე შიდა მობილობთ გადასვლის გეგმით,
- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის პრიორიტეტული არჩევანით ჩარიცხული სტუდენტები, როგორც წესი, რჩებიან და ამთავრებენ ამ პროგრამას.
- რომელიმე სასწავლო კურსის/დისციპლინის სამჯერ წარუმატებლად გავლის შემდეგ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და შემდგომი მობილობა სხვა უმაღლეს სასწავლებელში;
- სტუდენტთა ნაწილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების განმეორებითი შესწავლის აუცილებლობა და, ამის გამო, ე.წ. შეჭრილ სემესტრში გადასვლა, რაც განპირობებულია სტუდენტის არასაკმარისი საბაზისო მომზადებით ან საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლების რეჟიმთან ადაპტაციისათვის გარკვეული დროის საჭიროებით ან სასწავლო კურსების სირთულით და სტატუსშეჩერებულთა გაზრდილი რაოდენობით ან სტუდენტთა მობილობით სხვა უსდ-დან.

2017/18 სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის შეჩერების გამო მე–4, დამამთავრებელ კურსზეც განხორციელდა მობილობა, რამაც წინა წლებთან შედარებით მნიშველოვნად შეამცირა კურსდამთავრებულთა მიერ ინტეგრირებულ გამოცდაზე მიღებული ცოდნის შეფასების მაჩვენებლები, 2011/12 ს.წ.–2016/17 ს.წ.მიღებული შედეგებთან შედარებით, რომლებიც თითქმის გაუსის მრუდის იდენტურია.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის პირველ კურსზე ჩარიცხულთა სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, 2015 წელს სწავლების მეორე წელს შიდა მობილობით ისარგებლა 55 სტუდენტმა, რაც 2014 წელს ჩარიცხულთა 39%–ია, შემდეგ წლებში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდა 2016 წელს 68(43,6%) სტუდენტი გადავიდა, 2017 წელს – 101(56,7%) ხოლო 2018 წელს შიდა მობილობით ისარგებლა 78 (42.2%) სტუდენტმა, ანუ

შეინიშნება შემცირების ტენდენცია (14.5%). პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს გაზარდოს სტუდენტების დაინტერესება სპეციალობით, დასაქმების და პროფესიული ზრდის პერსპექტივა, პირველი კურსიდან სტაჟირება ანაზღაურებით და ა.შ. მაგრამ თუ სტუდენტი მტკიცედ გადაწყვეტილი განზრახვით არის მოსული და მას უნდა ექიმობა, მისი აზრის შეცვლა შეუძლებელია, და ეს მის მოქალაქეობრივ სიმწიფესა და პროფესიულ მიზანდასახულებაზე მიუთითებს. ამ გარემოებამ კი შექმნა ფარმაციის ბაკალავრის სპეციალობით კადრების დიდი დეფიციტი, რასაც ადასტურებს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და წერილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება o პროგრამის დასრულებისა და განთესვის მაჩვენებელი. o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა აზრის კვლევის შედეგები o სწავლების შედეგების შეფასების წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - მეცადინეობების კოლეგიალური მონიტორინგის (*peer review*-ს ტიპის) თვისობრივი კრიტერიუმების და პროცედურის შემუშავების და ამოქმედების აუცილებლობა;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 60

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნ. შაშიაშვილი

ნანა შაშიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

ლ. ბოკუჩავა

ლანა ბოკუჩავა